

შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია

ზოგადი ინფორმაცია:

სახელწოდება: შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია;

სახე: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ქ. თბილისი, ჯ.ნადირაძის ქუჩა №46

საფოსტო ინდექსი: 0102

ტელეფონი: 995 (322) 36 91 60

ოფიციალური საიტი: www.usgeorgia.edu.ge

ელექტრონული ფოსტა: info@usgeorgia.edu.ge

რექტორი ლიანა ჭოველიძე - lichovelidze@usgeorgia.edu.ge

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე

საკონტაქტო პირი - მარინე კობალავა

საკ. ინფ. - ტელ: 599 56 41 71

ელ.ფოსტა - mkobalava@usgeorgia.edu.ge

ინგლისური ენის და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამაზე

საკონტაქტო პირი - მაია ვასაძე

საკ. ინფ. - ტელ: 599 67 01 08

ელ.ფოსტა - mvasadze@usgeorgia.edu.ge

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

სასწავლო პროგრამები:

1. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა;
2. ინგლისური ენის და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამა;

საბაკალავრო პროგრამების აღწერილობა

I. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

სახელწოდება: ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
სწავლის ხანგრძლივობა: 4 წელი

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რაშიც მათ დაეხმარება პროგრამით შეთავაზებული თეორიული და პრაქტიკული ასპექტების საფუძვლიანი ცოდნა და პროფესიული კარიერისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება.

პროგრამის ფარგლებში პრიორიტეტულად მოიაზრება:

- პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების შესწავლა;
- თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- საბაკალავრო ნაშრომის შესრულება;
- საწარმოო პრაქტიკის გავლა;

საბაკალავრო პროგრამის მიზანია ბიზნესის სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობისათვის, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომით ბაზრებსა და საგანმანათლებლო სივრცეში კონკურენტუნარიან სპეციალისტად ჩამოყალიბებისათვის საჭირო თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღებისა და სათანადო უნარების ჩამოყალიბების უზრუნველყოფა.

სწავლის შედეგები

ბაკალავრი პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების ათვისების შედეგად დაეუფლება იმ კომპეტენციებს, რომლებიც შეესაბამება უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის) კვალიფიკაციათა აღმწერის შედეგებს, კერძოდ:

ცოდნა და გაცნობიერება:

- საბაზრო ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი პრობლემების გაცნობიერება, ბიზნესის განვითარების თეორიული პრობლემების გამოკვეთა და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრა;
- ბაკალავრს აქვს ფართო ცოდნა ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში, რომელიც წარმოადგენს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობისა და საბაზრო მექანიზმების რაციონალური გაცნობიერების წინაპირობას;
- ბაკალავრი ფლობს სათანადო ტერმინოლოგიასა და კატეგორიალურ აპარატს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში;
- ბაკალავრს გაცნობიერებული აქვს ბიზნესის ადმინისტრირების, ბიზნესის

მართვის ფუნდამენტური დებულებები, კონცეფციები და ბიზნეს აქტივობის ეროვნული და გლობალური გარემოს თავისებურებების გათვალისწინების აუცილებლობა;

- ბაკალავრი აცნობიერებს ბიზნესის სფეროში ოპერირებისათვის აუცილებელ რაოდენობრივ და სტატისტიკურ მეთოდებს; ბიზნესის, ფინანსების საფუძვლების, საერთაშორისო ფინანსების, ინვესტიციების, საგადასახადო საქმის, მენეჯმენტის, მარკეტინგის, ინფორმაციული უზრუნველყოფის, რისკების მართვისა და დაზღვევის, ფინანსური ბაზრებისა და ფულის მიმოქცევის კომპლექსურ საკითხებს; კორპორაციის საგადასახადო და ფინანსურ გარემოსთან ადაპტაციის აუცილებლობას; ბიზნეს სუბიექტების ფინანსური უზრუნველყოფისა და კონტროლის მექანიზმებს;
- ბაკალავრმა იცის საბანკო საქმის სპეციფიკა, საბანკო ოპერაციებისა და გარიგებების სახეები, საერთაშორისო უნიფიცერებული სავაჭრო ტერმინოლოგია; საკრედიტო მომსახურების ფორმები და ფულის მიმოქცევის თანამედროვე ტექნოლოგიები; საერთაშორისო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის რეალიზაციის ძირითადი ინსტრუმენტები;
- ბაკალავრი აცნობიერებს კორპორაციული ფინანსების განვითარების რაოდენობრივ და თვისობრივ პარამეტრებს, მათი ანალიზის აუცილებლობას; კორპორაციის ფუნქციონირებაში ფინანსური მენეჯმენტის როლსა და სპეციფიკას;
- ბაკალავრი აცნობიერებს ბიზნესის მართვის ძირითად პრინციპებს; საქართველოს საბანკო-საგადასახადო სისტემის თავისებურებებს; საბუღალტრო, საბანკო, საფინანსო და სტატისტიკური ანგარიშების შედგენას;
- ბაკალავრი აცნობიერებს სამეწარმეო აქტივობის პროცესის გლობალიზაციის თანამედროვე გამოწვევებსა და განვითარების ტენდენციებს ამ პროცესების ეთნომეტრიული სპეციფიკის გათვალისწინების აუცილებლობას.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

ბაკალავრს შეუძლია:

- ბიზნეს სტრუქტურების მდგრადი განვითარების უზრუნველყოფი კრიზის მენეჯმენტის ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობა წინასწარ მიღებული მითითებების შესაბამისად;
- ბიზნეს-საქმიანობაზე საბაზრო ეკონომიკისა და ფინანსური ბაზრების გავლენის ფაქტორების შეფასება და გათვალისწინება პრაქტიკულ საქმიანობაში; კორპორაციის ბიზნეს-საქმიანობის რეგულირების, დაგეგმვის, ორგანიზებისა და კონტროლის მექანიზმების, ბიზნეს-საქმიანობის ანალიზისა და შეფასების მიზნით სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდების შერჩევა და გამოყენება; კორპორაციის ფინანსურ და ბიზნეს-საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება, კლასიფიცირება, ეფექტიანობის შეფასება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში;
- წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად ბიზნეს-პროექტების მომზადების პროცესში მონაწილეობა და მისი ცალკეული კომპონენტების შემუშავება;
- კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია ორგანიზაციის ან ფუნქციონალური სფეროს პრობლემების გადასაჭრელად შესაბამისი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება, პროექტირება და დიაგნოსტირება ბიზნესის

ადმინისტრირების მიმართულებით;

- ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსთვის დამახასიათებელი სტანდარტული და რელევანტური დოკუმენტაციის მოძიება, თავმოყრა, დაჯგუფება, ანგარიშგების მომზადება და წარდგენა;
- ბიზნესის ადმინისტრირების პროცესში ოპერაციულ დონეზე სამუშაოს შესრულება წინასწარ მიღებული მითითების შესაბამისად;

დასკვნის უნარი:

ბაკალავრს აქვს:

- სამეწარმეო აქტივობის სფეროში მიმდინარე მოვლენებისა და მათი კანონზომიერებების გამოვლენის უნარი; სისტემაში წამოჭრილი პრობლემების ანალიტიკური შეფასება;
- პრობლემების განზოგადებისა და არგუმენტირებული დასკვნის ფორმულირების უნარი;
- წარმოების მოცულობის, დანახარჯების, მოგების გაანგარიშებისა და ანალიზის გაკეთების უნარი;
- კომპანიის საქმიანობაში წარმოშობილი პრობლემების იდენტიფიცირებისა და ანალიზის, გადახრების გამომწვევი ფაქტორების გამოვლენისა და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ამ პრობლემების გადაჭრის მიზნით სათანადო ღონისძიებისა და რეკომენდაციების განსაზღვრაში მონაწილეობის უნარი;
- ბიზნეს ურთიერთობების სუბიექტების და მათი ინტერესების განსაზღვრა, ორგანიზაციის წინაშე არსებული მმართველობითი პრობლემების იდენტიფიცირება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში;
- სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებით მოწოდებული და მოძიებული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის, განხილვის, შეფასების, დასკვნების ჩამოყალიბებისა და მათი ლოგოკური არგუმენტაციის უნარი;
- ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსთვის დამახასიათებელი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით სხვადასხვა მასალების, ინფორმაციის, მათ შორის სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და დაჯგუფების, ანალიზისა და სინთეზის, კომბინირებისა და დიფერენცირების, განმარტებისა და შეფასების უნარი;
- ბიზნეს-გარემოს ანალიზის ინსტრუმენტების გამოყენება, ორგანიზაციის საქმიანობაზე მოქმედი მიკრო და მაკრო გარემო ფაქტორების განსაზღვრა;
- კომპანიის ბიზნეს-საქმიანობის ოპერატიული და სტრატეგიული გეგმების შემუშავებაში მონაწილეობა და საკუთარი მოსაზრებების დასაბუთება.

კომუნიკაციის უნარი:

- შესწევს კომუნიკაციის უნარი როგორც მშობლიურ, ისე უცხო ენაზე;
- შეუძლია უცხო ენაზე;

კითხვა – შეუძლია ავთენტური ტექსტების წაკითხვა და ექსპლიციტური და იმპლიციტური ინფორმაციის აღქმა;

წერა – შეუძლია საქმიანი დოკუმენტის შედგენა ბიზნეს ტერმინოლოგიის გამოყენებით;

საუბარი - შეუძლია დისკუსიის წარმართვა, საკუთარი აზრის გამოხატვა-დასაბუთება, საუბარი დიდი ძალისხმევით გარეშე; შეუძლია არგუმენტების მოყვანა სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად; უცხო ენაზე შეუძლია სპეციალობის თემატიკასთან დაკავშირებული ტექსტების არსებითი შინაარსის გაგება და ინფორმაციის გადაცემა შესაბამისი დარგის

სპეციალისტებისთვის და არასპეციალისტებისთვის;

- თავისუფლად და შემოქმედებითად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; შეუძლია საინფორმაციო სისტემების ტიპების იდენტიფიცირება საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;
- ფლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების თანამედროვე მეთოდებს;
- დამოუკიდებლად შეუძლია ელექტრონულ დოკუმენტებთან, ელექტრონულ ცხრილებთან და მონაცემთა ბაზებთან მუშაობა;
- შესწევს ბიზნესის შესაბამისი საინფორმაციო ბაზებისა და პროგრამების გამოყენების უნარი;
- შეუძლია ჯგუფში მუშაობისას ჯგუფის წევრებთან საქმიანი კომუნიკაცია.

სწავლის უნარი

- შეუძლია საკუთარი ცოდნის შეფასება;
- შეუძლია სწავლის შედეგად მიღწეული კომპეტენციების დახვეწა თეორიული წყაროებისა თუ ინფორმაციული რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით;
- ცოდნის გაღმავების მიზნით შეუძლია შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა;
- ცოდნისა და უნარების სრულყოფის მიზნით შეუძლია სხვადასხვა რესურსის, მათ შორის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, სხვადასხვა საინფორმაციო წყაროების, დარგობრივი ლიტერატურის, მოწინავე საერთაშორისო გამოცდილების, ინოვაციების გათვალისწინება-გამოყენება.

ღირებულებები:

- შეუძლია ბიზნესის წარმართვასთან დაკავშირებული ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და აქვს მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა;
- აქვს ბიზნეს-აქტივობის მარეგულირებელი სამართლებრივი და ეთიკური ნორმების დაცვის პასუხისმგებლობა;
- შეუძლია სამეწარმეო ეთიკის კრიტერიუმების გათავისება პროფესიულ საქმიანობაში;
- განსხვავებული ისტორიული განვითარების, ეთნიკური, რელიგიური, კულტურული და სოციალური თავისებურებების შეცნობისა და მათი გათვალისწინების აუცილებლობის გათვალისწინება ბიზნეს საქმიანობაში;
- იღებს ახალ გამოწვევებს და შესაძლებლობებს, მიისწრაფვის სოციალური და ეკონომიკური ღირებულებების დასამკვიდრებლად.

ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: 240 კრედიტი;

ცოდნის შეფასების სისტემა:

დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

- პრაქტიკულ მუშაობას;
- შუალედურ შეფასებებს;
- დასკვნითი გამოცდის შეფასებას;

შეფასების სისტემა:

ქულები %	შეფასება	
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	Fx
0-40	ჩაიჭრა	F

სტუდენტი ვერ მიიღებს კრედიტს (ერთ-ერთ დადებით შეფასებას), თუ იგი არ ფლობს საპროგრამო მასალას.

Fx შეფასების და/ან დასკვნით გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება განმეორებით გამოცდაზე იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდიდან არა ნაკლებ 10 დღეში, ხოლო F შეფასების შემთხვევაში სტუდენტმა კრედიტების მისაღებად კურსი თავიდან უნდა გაიაროს.

დასკვნითი გამოცდა ტარდება სემესტრის ბოლოს, სასწავლო პროცესის აკადემიური კალენდრით განსაზღვრულ ვადებში.

შეფასების წესი:

სემესტრულად სტუდენტის ცოდნა ფასდება შესაბამისი ქულების მიხედვით.

პრაქტიკული მუშაობა – ფასდება 40 ქულით და გულისხმობს შემდეგი სამუშაოების შესრულებას:

- პრეზენტაციების მომზადებასა და წარდგენას;
- თემატურ და ინდივიდუალურ პრეზენტაციებს;
- ქვიზების დამუშავებას;
- პრაქტიკული სავარჯიშოების (ამოცანების) შესრულებას;
- აქტივობას პრაქტიკულ მეცადინეობაზე (გონებრივი იერიშის მეთოდის გამოყენებით);
- ქვისებისა და ესსეების მომზადებას;
- ზეპირ გამოკითხვას;
- დისკუსიაში მონაწილეობას;
- დებატებში ჩართულობას;

შუალედური გამოცდა ჩატარდება პროგრამით გათვალისწინებული თემების შესაბა-

მისად. მისი უნაკლოდ შესრულების შემთხვევაში სტუდენტი დაიმსახურებს უმაღლეს შეფასებას (20 ქულა).

დასკვნითი გამოცდა ფასდება 40 ქულით. იგი ტარდება სასწავლო კურსის დასრულებისას. გამოცდა ტარდება წერითი და/ან ტესტური ფორმით, სილაბუსში ჩამოთვლილი თემებისა და მითითებული ლიტერატურის გათვალისწინებით.

საწარმოო პრაქტიკის მიზანი

საწარმოო პრაქტიკა მიზნად ისახავს კონკრეტულ სამუშაო ადგილზე აკადემიურ გარემოში მიღებული ცოდნისა და უნარ - ჩვევების გაღრმავებასა და განმტკიცებას, ასევე, დარგობრივი კომპეტენციების შესწავლა/გაცნობიერებას. პრაქტიკის მიზანია სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის რეალიზება. პრაქტიკის მიზანია პრაქტიკის გავლის პროცესში სტუდენტი შესაბამის გარემოში დაეუფლოს საგანმანათლებლო პროგრამით ათვისებულ თეორიულ ცოდნასა და ზოგად კომპეტენციებს.

პრაქტიკული მუშაობის პროცესის ძირითად მიზანს წარმოადგენს სტუდენტს შესთავაზოს რელევანტური სასწავლო გარემო, უზრუნველყოს შესაბამისი პრაქტიკული საქმიანობის წარმატებული გამოცდილების გაზიარებისა და ცოდნის მუდმივი განახლების აუცილებლობის გაცნობიერება. საბოლოოდ, კი იგი აკუმულირდება სფეროსათვის დამახასიათებელი თანმიმდევრული პროცესების პრაქტიკულ გაცნობიერების თავსებადობაში.

საწარმოო პრაქტიკის დასრულების შემდეგ სტუდენტს გამომუშავებული ექნება ქვემოთ ჩამოთვლილი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება

- საბანკო საქმიანობის ძირითადი ინსტრუქციები;
- საბანკო საქმის პრიორიტეტების განსაზღვრა;
- ბანკების ფინანსური ანგარიშების კონტროლი;
- ბანკის საოპერაციო კომპიუტერული პროგრამა „alta software”

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- საბანკო სექტორში ანგარიშების მომზადება და წარდგენა;
- საბანკო სექტორზე მოქმედი მაკრო ელემენტების ზემოქმედების პრაქტიკული განსაზღვრა;
- ტურბულენტურ გარემოში მოქმედების პრაქტიკული გააზრება;

დასკვნის უნარი

- ინფორმაციის ანალიზისა და სინთეზის უნარი;
- საწარმოო პრაქტიკის ანგარიშის დამოუკიდებლად შესრულებისა და გაფორმების უნარი;
- ჯგუფურ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა;

კომუნიკაციის უნარი

- იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და სპეციალისტებთან/კოლეგებთან პროფესიულ საკითხებზე დისკუსიის უნარი;
- თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი;

სწავლის უნარი

- საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა;

ღირებულებები

- ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.
- სტუდენტს შეუძლია საბანკო სამეწარმეო საქმიანობის პრაქტიკული საქმიანობის შესწავლისა და ამ საქმიანობაში მონაწილეობის მიღებისას იმოქმედოს პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით.

პრაქტიკის შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები

სტუდენტის ცოდნის შეფასება მოიცავს შემდეგ კრიტერიუმებს:

შეფასების კრიტერიუმები	ქულები
1. პრაქტიკის ანგარიშის დაცვა	40
2. პრაქტიკული აქტივობა:	60
2.1. ინფორმაციის მოპოვებისა და შესრულების უნარი	12
2.2. ანალიტიკური აზროვნება	12
2.3. ოპერატიულობა	12
2.4. ინოვაციური მეთოდების გამოყენება	12
2.5. პრაქტიკის ანგარიშის/დღიურის დამოუკიდებლად შესრულებისა და გაფორმების უნარი	12
სულ:	100

პრაქტიკის შეფასება მრავალჯერადი და მრავალკომპონენტანია. შეფასება ექვემდებარება პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტის აქტივობასა და პრაქტიკის ანგარიშის შესრულებასა და დაცვას.

- პრაქტიკის დაცვა განისაზღვრება მაქსიმალური - 40 ქულით.
- პრაქტიკული აქტივობა - მაქსიმალური 60 ქულა.

პრაქტიკის ყოველკვირეული (სულ 12 კვირა) აქტივობის საშუალო შეფასება გამოიანგარიშება ერთი კვირის განმავლობაში დაგროვებული შეფასებების ჯამით.

აქტივობა	პრაქტიკის ყოველკვირეული შეფასებები					
	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	თითოეულ აქტივობაზე მაქსიმალური ჯამი
ინფორმაციის მოპოვებისა და	0,2	0,2	0,2	0,2	0,2	1

შესრულების უნარი						
ანალიტიკური აზროვნება	0,2	0,2	0,2	0,2	0,2	1
ოპერატიულობა	0,2	0,2	0,2	0,2	0,2	1
ინოვაციური მეთოდების გამოყენება	0,2	0,2	0,2	0,2	0,2	1
პრაქტიკის ანგარიშის/დღიურის დამოუკიდებლად შესრულებისა და გაფორმების უნარი	0,2	0,2	0,2	0,2	0,2	1
აქტივობების საერთო მაქსიმალური ქულათა ჯამი კვირაში:						5

პრაქტიკის აქტივობების საბოლოო სემესტრული შეფასება დგინდება თითოეული სტუდენტის მიერ ყოველკვირაში დაგროვილი ქულების საერთო ჯამის გაანგარიშებით. (გაიანგარიშება 12 კვირაზე, მაქსიმალური ქულა შეადგენს 60 ქულას, $12 \times 5 = 60$)

საბაკალავრო ნაშრომის მომზადების მიზანი

საბაკალავრო ნაშრომი არის წერიტი ხასიათის ნაშრომი, რომელიც უნდა შეასრულოს და დაიცვას სტუდენტმა აკადემიური პროგრამის დასრულების ბოლოს. საბაკალავრო ნაშრომი არის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტების მომზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავალდებულო კომპონენტი. საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობისას უნდა გამოვლინდეს საბაკალავრო პროგრამის კომპონენტების შესწავლის შედეგად მიღწეული სტუდენტის ცოდნის დონის, პრაქტიკული უნარებისა და კომპეტენციების ხარისხის შესაბამისობა საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. ნაშრომში უნდა გამოვლინდეს სტუდენტის ცოდნისა და უნარ-ჩვევების დონე. ნაშრომის შეფასების წესი ემყარება უმაღლეს სასწავლებელში მოქმედ შეფასების წესს.

საბაკალავრო ნაშრომის შედეგები

საბაკალავრო ნაშრომის მომზადების პროცესში ხდება სტუდენტის მიერ ბაკალავრიატში სწავლისას მიღებული თეორიული ცოდნის და უნარ-ჩვევების გამოყენების შესაძლებლობის შემოწმება, ხოლო საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობისას სტუდენტს უნდა განუვითარდეს შემდეგი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება

- ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში საკითხების კომპლექსური ცოდნა და გაცნობიერება, რომელიც თავის მხრივ მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსათვის დამახასიათებელი პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;

დასკვნის უნარი

- ბიზნესის ადმინისტრირებისა და ფინანსების სფეროსათვის საჭირო მონაცემების შეგროვება და ანალიზი;
- განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით;
- დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;

კომუნიკაციის უნარი

- იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ წერილობითი ანგარიშის მომზადება;
- ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და/ან უცხოურ ენებზე;
- თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კრეატიული გამოყენება;

სწავლის უნარი

- საბაკალავრო ნაშრომის დამოუკიდებლად და თანმიმდევრულად შესრულება;

ღირებულებები

- ღირებულებების კრიტერიუმების განსაზღვრა და გათავისება საბაკალავრო თემის ფასეულობათა შეცნობაში;

ზემოთ მითითებული კომპეტენციები წარმოადგენს ზოგადად მოსალოდნელ შედეგებს, რომლებიც დაზუსტდება კონკრეტული საბაკალავრო ნაშრომის თემის სპეციფიკიდან და თავისებურებებიდან გამომდინარე.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები

1	ნაშრომის დაცვა	40 ქულა
2	თემის აქტუალობა	20 ქულა
3	სტრუქტურასთან შესაბამისობა	10 ქულა
4	დასკვნის გაკეთების უნარი	10 ქულა
5	მეთოდოლოგიის მოძიების უნარი	10 ქულა
6	პრეზენტაციის უნარი	10 ქულა
	სულ:	100 ქულა

II. ინგლისური ენის და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება: ინგლისური ენა და ლიტერატურა

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

პროგრამის ტიპი: აკადემიური

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია: ფილოლოგიის ბაკალავრი

პროგრამის მიზნები:

ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის მიზანია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა, რაც გულისხმობს ბაკალავრიატის საფეხურზე შესაბამისი თეორიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების საფუძველზე რელევანტური კომპეტენციების გამომუშავებას.

პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტს შეასწავლოს ინგლისურ ენაზე წერილობითი და ზეპირი კომუნიკაცია, რომელიც საშუალებას მისცემს მას იყოს კონკურენტუნარიანი დასაქმების ბაზარზე და იმუშაოს ყველა იმ დაწესებულებაში, სადაც მოითხოვება ინგლისურ ენაზე კომუნიკაცია, მათ შორის საქმიანი მიმოწერა, ინგლისურენოვან ტექსტებზე მუშაობა, კულტურათაშორისი დიალოგის წარმართვა.

საბაკალავრო პროგრამა სტუდენტს მისცემს შესაბამის ცოდნას ინგლისური ენისა და ლიტერატურის სფეროში, კერძოდ კი შეასწავლის და უზრუნველყოფს ქვემოთ ჩამოთვლილი უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

ინგლისურ ენაზე ზეპირი და წერილი კომუნიკაციის უნარ-ჩვევები:

- ინგლისური ენის ლექსიკის ცოდნა;
- დარგობრივი ლექსიკის ცოდნა;
- ინგლისური ენის გრამატიკული კატეგორიების ცოდნა და პრაქტიკული გამოყენება წერილი და ზეპირი კომუნიკაციის დროს;
- ინგლისური ენის სტრუქტურული თავისებურებების ცოდნა;
- თანამედროვე ინგლისური ენის გრამატიკული სტრუქტურის, მორფოლოგიური და სინტაქსური კონსტრუქციების დაუფლება;
- ინგლისური ენის ფონეტიკური, გრამატიკული და სტილისტური ნორმების ცოდნა და რელევანტურად გამოყენება;

ლინგვისტიკის საფუძვლები:

- ზოგადად ენებისა და კონკრეტულად, ინგლისური ენის წყობის თავისებურებებისა და მისი სისტემური ელემენტების ცოდნა;
- ინგლისური ენის სტილისტური თავისებურებების განსაზღვრა;

ქვეყნის ისტორიულ-კულტუროლოგიური თავისებურებანი:

- ინგლისურენოვანი და მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის, მიმდინარეობების, მისი წარმომადგენლებისა და მათი ნაწარმოებების ცოდნა, ისტორიულ კონტექსტში მათი განხილვა, ერის კულტურის, ტრადიციებისა და ღირებულებების შეცნობა;

ინტერკულტურული:

- თარგმნის თეორიისა და პრაქტიკის ცოდნა;
- საბაკალავრო პროგრამით შემოთავაზებული მეორე უცხო ენის ცოდნას B1 დონეზე;

ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის დასრულების ეტაპზე ბაკალავრის ცოდნა შეესაბამება ევროკომისიის მიერ შემუშავებული ენობრივი პოლიტიკის "საერთოევროპული რეფერენციული ჩარჩოს" ენობრივი კომპეტენციის C1 დონეს.

სწავლის შედეგები:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>კურსდამთავრებულმა იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • ინგლისური ენის ბგერების სისტემა, სიტყვისა და წინადადების მახვილის, რიტმის, ინტონაციის თავისებურებები; • ინგლისური ენის მეტყველების ნაწილები და მათი გრამატიკული კატეგორიები, ფუნქციები და მნიშვნელობები ტექსტში, ენის სინტაქსური კატეგორიები, ენის სტრუქტურის თავისებურებები; • სხვადასხვა საყოფაცხოვრებო და საზოგადოებრივი სფეროს თემატიკის ფარგლებში ლექსიკა და ფრაზეოლოგია; • პუბლიცისტური/პრესის ლექსიკა და ფრაზეოლოგია, პრესის სტილის გრამატიკული და სტილისტური თავისებურებები; • დარგობრივი სფეროს ლექსიკა და ტერმინოლოგია, კორესპონდენციის წარმოების თავისებურებები, არგუმენტაციის ტექნიკა ზეპირი და წერიტი კომუნიკაციის დროს; • საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორია, ძირითადი ლიტერატურული ნაწარმოებები ეპოქის მატერიალური და სულიერი ღირებულების გათვალისწინებით, ლიტერატურული მიმდინარეობები და მათი ძირითადი წარმომადგენლების ბიოგრაფიული მონაცემები; • ინგლისური ლიტერატურის ძირითადი ნაწარმოებები ეპოქის მატერიალური და სულიერი ღირებულების გათვალისწინებით; ეპოქის ლიტერატურული მიმდინარეობი და მათი ძირითადი წარმომადგენლების ბიოგრაფიული მონაცემები.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ენის ბგერებისა და ფონემების, სიტყვისა და წინადადების მახვილის, რიტმისა და ინტონაციის სწორად გამოყენება ზეპირი კომუნიკაციის დროს;

	<ul style="list-style-type: none"> • ინგლისური ენის მარტივი და რთული სისტემური ელემენტების აქტუალიზაცია წერითი და ზეპირი კომუნიკაციის დროს; ტექსტებში გრამატიკული კატეგორიების ამოცნობა და შეფასება; შეუფერხებელი მონოლოგური და დიალოგური მეტყველება, საკუთარი აზრის ლოგიკურად ჩამოყალიბება; • მხატვრული ნაწარმოების ანალიზი, სტილისტური საშუალებების, იდიომატური გამოთქმების, სიტყვათაწარმოების ანალიზი; • დარგობრივი ტექსტების გაგება, ექსპლიციტური და იმპლიციტური ინფორმაციის აღქმა, გაცნობიერება, თარგმნა, საქმიანი მოლაპარაკების წარმოება, ბიზნეს-პარტნიორებთან კორესპონდენციის წარმოება, ინგლისურენოვანი ტექსტის რეფერირება; • მსჯელობა ლიტერატურულ მიმდინარეობებზე და მის წარმომადგენლებზე; ლიტერატურული ნაწარმოებების ურთიერთკავშირისა და ურთიერთზეგავლნის განსაზღვა; ლიტერატურული ნაწარმოების არსის, თემის, ფაბულის, იდეის, სტილისტური ხერხების გააზრება და ამის შესახებ მსჯელობა.
დასკვნის უნარი	<p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ტექსტებში გრამატიკული კატეგორიების ამოცნობა, ფუნქციისა და მნიშვნელობის განსაზღვრა; • ლიტერატურული ნაწარმოების აღქმა, გააზრება, ინტერპრეტაცია და კონკრეტულ საკითხებზე მოსაზრების ჩამოყალიბება და დასკვნების გაკეთება; • დარგობრივი ტექსტების გააზრება, ინტერპრეტაცია და კონკრეტულ საკითხებზე მსჯელობა და დასკვნების გაკეთება.
კომუნიკაციის უნარი	<p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ეფექტური მონოლოგური და დიალოგური ზეპირი კომუნიკაციის დამყარება საზოგადოებრივი და საქმიანი სფეროს სხვადასხვა თემებზე; • ეფექტური წერითი კომუნიკაცია როგორც დარგობრივი სფეროს საკითხებზე, ასევე ბიზნეს სფეროში; • ტექსტების თარგმანი ინგლისურიდან ქართულ ენაზე და პირიქით; • ინტერნეტის საშუალებით ინგლისურენოვანი წყაროებიდან საჭირო ინფორმაციის მოძიება; • პროფესიონალებთან და არაპროფესიონალებთან ლიტერატურულ ნაწარმოებებზე, ლიტერატურულ გმირებზე მსჯელობა;

	<ul style="list-style-type: none"> • ჯგუფურ განხილვაში ლიტერატურულ ნაწარმოებზე, ავტორზე, გმირებზე, ისტორიულ კონტექსტზე და ა.შ. მსჯელობა/დისკუსიაში მონაწილეობა; • საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების თანამედროვე მეთოდების გამოყენება.
სწავლის უნარი	<p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • საკუთარი ცოდნის შეფასება, ნაკლოვანებების დეტექცია და დამატებითი ინფორმაციული რესურსების მოძიება; • დამოუკიდებლად უცხო ტექსტის გაგებისთვის შესაბამისი რესურსების განსაზღვრა და მოძიება; • დამოუკიდებლად ლექსიკური მარაგის გამდიდრება, როგორც ლექსიკონებში ახალი ლექსიკური ერთეულების მოძიებით, ასევე მათი წარმოებით; • დამოუკიდებლად ლიტერატურული ნაწარმოების წაკითხვა, ანალიზი, ინტერპრეტაცია; • თეორიული საფუძვლების გამოყენება ენის პრაქტიკული კურსების ათვისების პროცესში ზეპირი და წერიტი კომუნიკაციის დროს; • პრაქტიკული კურსების გამოყენება შემდგომში თეორიული კურსების ათვისების პროცესში; • ცოდნის გადრმავეების მიზნით შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრა.
ღირებულებები	<p>სტუდენტმა იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • გრამატიკულად, ლიტერატურულად და სტილისტურად გამართული მეტყველების მნიშვნელობა კულტურათათმორის კომუნიკაციის პროცესში და მისი როლი როგორც მედიატორისა პროფესიული საქმიანობის წარმოების დროს; • თარგმნის როლი კულტურათათმორის ურთიერთობაში, სწორად შესრულებული თარგმანის აუცილებლობა და მნიშვნელობა და კეთილსინდისიერი დამოკიდებულება აღნიშნული საქმიანობის შესრულების პროცესში; • ენის მფლობელი ერის კულტურის, ტრადიციების, ისტორიის პატივისცემა; • ინგლისური ლიტერატურის მნიშვნელობა ერის ისტორიისათვის, როგორც მისი ყოფისა და სულიერი ცხოვრების ამსახველი; • ლიტერატურული ნაწარმოების მნიშვნელობა, როგორც ეროვნული ძეგლისა;

- ესთეტიკური ლიტერატურული ღირებულებების შეცნობა მხატვრულ ნაწარმოებებში.

ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: 240 კრედიტი;

ცოდნის შეფასების სისტემა:

დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

- პრაქტიკული სამუშაოების შესრულებას;
- შუალედური გამოცდის შეფასებას;
- დასკვნითი გამოცდის შეფასებას;

შეფასების სისტემა:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	Fx
0-40	ჩაიჭრა	F

სტუდენტი ვერ მიიღებს კრედიტს (ერთ-ერთ დადებით შეფასებას), თუ იგი არ ფლობს საპროგრამო მასალას.

Fx შეფასების და/ან დასკვნით გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება განმეორებით გამოცდაზე იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდიდან არა ნაკლებ 10 დღეში, ხოლო F შეფასების შემთხვევაში სტუდენტმა კრედიტების მისაღებად კურსი თავიდან უნდა გაიაროს.

დასკვნითი გამოცდა ტარდება სემესტრის ბოლოს, სასწავლო პროცესის აკადემიური კალენდრით განსაზღვრულ ვადებში.

შეფასების წესი:

სემესტრულად სტუდენტის ცოდნა ფასდება შესაბამისი ქულების მიხედვით.

პრაქტიკული მუშაობა – ფასდება 40 ქულით და გულისხმობს შემდეგი სამუშაოების შესრულებას:

- მასალის ზეპირი პრეზენტაცია;
- დისკუსია-დებატებში მონაწილეობა;
- ტესტ-კითხვარების შევსება;
- ქვიზი;
- ტექსტის ანალიზი და ინტერპრეტაცია;
- პრაქტიკული წერითი და აუდიო სავარჯიშოების შესრულება;

- როლური თამაში;
- გონებრივი იერიში;
- ბლიც გამოკითხვა;
- მოსმენა-აუდირება;
- თარგმანის შესრულება;
- რეფერირება.

შუალედური გამოცდა ჩატარდება პროგრამით გათვალისწინებული თემების შესაბამისად. შეფასების მაქსიმალური ქულაა - 20.

დასკვნითი გამოცდა ფასდება 40 ქულით. იგი ტარდება სასწავლო კურსის დასრულებისას და მოიცავს მიმდინარე გამოცდის შემდეგ შესწავლილი თეორიული მასალის ცოდნის გამოვლენას. გამოცდა ტარდება წერილობითი და/ან ზეპირი ფორმით, სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული შეფასების ფორმატის მიხედვით.

საბაკალავრო ნაშრომი

საბაკალავრო ნაშრომი არის წერითი ხასიათის ნაშრომი და წარმოადგენს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კომპონენტს, რომელიც სრულდება აკადემიური პროგრამის დასრულების ბოლოს, მერვე სემესტრში.

ნაშრომში უნდა გამოვლინდეს სტუდენტის ცოდნის დონისა და გამომუშავებული უნარ-ჩვევების შესაბამისობა აკადემიური პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები ეყრდნობა უმაღლეს სასწავლებელში მოქმედ შეფასების კრიტერიუმებს. პროგრამების ხელმძღვანელებს შეუძლიათ განსაზღვრონ დამატებითი კრიტერიუმები.

საბაკალავრო ნაშრომის შედეგები

საბაკალავრო ნაშრომის მომზადების მიზანია საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სისტემატიზაცია, რაც სტუდენტს განუვითარებს შემდეგ კომპეტენციებს:

ცოდნა და გაცნობიერება:

- სპეციალობის ფარგლებში ცოდნის გაანალიზება/გაცნობიერება;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

- დარგობრივი ცოდნის, პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების გამოვლენა;
- სფეროსთვის დამახასიათებელი წერითი ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მეთოდების შესაბამისად;

დასკვნის უნარი:

- თემასთან დაკავშირებული მოძიებული მასალის სისტემატიზაცია და ანალიზი;
- არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბებისა და ლოგიკური მსჯელობის უნარი;

კომუნიკაციის უნარი:

- ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენება საჭირო ინფორმაციის მოსაგროვებლად;

- საკუთარი ცოდნისა და უნარ-ჩვევების თანმიმდევრულად, დამაჯერებლად და ეფექტურად პრეზენტაციის უნარი.

სწავლის უნარი:

- სადიპლომო თემაზე მუშაობის პროცესში დარგობრივი ცოდნისა და ტრანსფერული უნარების რელევანტურად გამოყენება, ანალიზი და სინთეზი, კრიტიკული შეფასების საფუძველზე ახალი ცოდნის ფორმირება.

ღირებულებები:

- საკუთარი როლის განსაზღვრა როგორც კულტურატაშორისი მედიატორისა.

ზემოთ მითითებული კომპეტენციები წარმოადგენს ზოგადად მოსალოდნელ შედეგებს, რომლებიც დაზუსტდება კონკრეტული საბაკალავრო ნაშრომის თემის სპეციფიკისა და თავისებურებებიდან გამომდინარე.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები

1	ნაშრომის დაცვა/პრეზენტაცია	40 ქულა
2	თემის აქტუალობა	20 ქულა
3	ნაშრომის ენობრივი და სტილისტური გამართულობა	20 ქულა
4	სტრუქტურასთან შესაბამისობა	10 ქულა
5	დასკვნის გაკეთების უნარი	10 ქულა
	სულ:	100 ქულა